

შპს სი თი ენ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგება
2019 წ

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5
ფულის მოძრაობის უწყისი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
ახსნა განმარტებითი შენიშვნები	8

**ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება**

	საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2019	საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2018	საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2017
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები:</i>			
ფული და ფულის ეკვივალენტები	89 432	125 346.62	473 517.59
დებიტორული დავალიანება	703 074	92 547.16	243 334.89
სასაქონლო მარაგები	644 978	661 204.21	435 832.98
გადახდილი ავანსები			91.82
წინასწარ გაწეული ხარჯები	1 043	-4 250.02	-5 767.88
სხვა მისაღები თანხები			
მთლიანი მიმდინარე აქტივები	1 438 527	874 847.97	1 147 009.40
<i>ძირითადი საშუალებები:</i>			
სატრანსპორტო საშუალებები	76 448	108 774.30	136 250.58
ავეჯი და ოფოსის მოწყობილობა	39 893	47 347.69	38 881.55
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	23 367	24 445.54	24 931.87
მთლიანი ძირითადი საშუალებები			
<i>არამატერიალური აქტივები:</i>			
პროგრამული უზრუნველყოფა	5 172	6 324.75	6 277.24
მატერიალური და არამატერიალური აქტივები	144 880	186 892.28	206 341.24
მთლიანი აქტივები	1 583 407	1 061 740.25	1 353 350.64
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მიმდინარე ვალდებულებები:</i>			
კრედიტორული დავალიანება	545 878	312 677.97	358 685.68
დარიცხული გადასახადები		-20 166.46	-3 539.75
დარიცხული ხელფასები			
ავანსად მიღებული შემოსავლები		8 901.25	25 000
მოკლევადიანი სესხი	385 140		
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	931 018	301 412.76	380 145.93
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები:</i>			

მთლიანი ვალდებულებები	931 018	301412.76	380145.93
კაპიტალი:			
საკუთარი კაპიტალი	100	100	100
პერიოდის მოგება			607 232.13
პერიოდის ზარალი	-179 717	-124 346.53	
გაუნაწილებელი მოგება	832 006	884 574.02	365 872.58
მთლიანი კაპიტალი	652 389	760 327.49	973 204.71
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	1 583 407	1 061 740.25	1 353 350.64

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 ოქტომბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს



დირექტორი

მოგება-ზარალის უწყისი

	საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2019	საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2018	საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2017
შემოსავლები:			
მთლიანი გაყიდვები	2 142 379.14	1 629 315	5 288 040
ფასდაკლება და უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი	53 850.25	453 067	498 940
წმინდა გაყიდვები	2 088 529.89	1 176 248	4 789 100
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:			
მარაგები პერიოდის დასაწყისში	661 204.21	435 833	90 948
შესყიდვების ხარჯები	1 068 647.90	508 089	2 899 523
მარაგები პერიოდის ბოლოს	644 977.90	661 204	435 833
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	1 084 874.21	282 718	2 554 638
საერთო მოგება	1 003 654.68	893 530	223 446.2

საოპერაციო ხარჯები			
სახელფასო ხარჯები	662 750.79	538 265.84	1 236 298.87
ტრანსპორტირების ხარჯები	12 582.95	42 631.86	74 405.31
იჯარის ხარჯი	259 164.86	274 133.63	89 630.30
რეკლამის ხარჯი	45 670.33	12 877.99	47 553.40
კომუნალური ხარჯები	9 141.10	18 537.17	6 037.90
საოფისე ხარჯები	2 712.29	3 801.97	6 162.19
საბანკო მსახურების ხარჯები	32 469.30	14 604.97	12 997.57
კომუნიკაციის ხარჯი	12 707.37	12 136.25	9 150.92
სხვა ხარჯი	109 505.07	84 412.18	147 506.69
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	1 146 704.06	1 001 401.86	1 629 743.15

საოპერაციო მოგება	-143 049.38	-107 871.49	60 471.92
--------------------------	--------------------	--------------------	------------------

ცვეთა და ამორტიზაცია	33 427.05	34 361.34	29 720.83
საპროცენტო შემოსავალი	0	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	6 987.40	17 886.30	32 233.84
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	10 228.25	0	0
მოგების გადასახადი		0	0
დივიდენდი		0	0

წმინდა მოგება (ზარალი)	-179 717.28	-124 346.53	60 723.13
-------------------------------	--------------------	--------------------	------------------

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 ოქტომბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს



დირექტორი

ფულის მოძრაობის უწყისი

	საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2019	საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2018	საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2017
ფული პერიოდის დასაწყისში	125 346.62	473 517.59	134 020.42
ფულის ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	1 430 133	1 483 467.15	5 133 036.08
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	-1 072 565.77	-1 045 679.73	-3 337 499.03
გადახდილი ხელფასები	-525 620.71	-424 684.02	-919 277.17
გადახდილი გადასახადები	-330 887.56	-362 567.24	-383 150.40
გადახდილი ავანსები			-25 287.93
მიღებული ავანსები			3 815.00
კომუნალური ხარჯები			
საოფისე ხარჯები			
საბანკო მომსახურების ხარჯები			
დაზღვევა			
უიმედო ვალების ჩამოწერა			
სხვა			-29 361.96
სულ ფულის ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ფულის ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა			
საპროცენტო შემოსავალი	1 510.87	6 943.54	20 917.52
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	14 825		
სულ ფულის ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფულის ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება	385 140		
სესხის ძირის დაფარვა			
სესხის პროცენტის დაფარვა			
გადახდილი დივიდენდები			-97 900.00
საკუთარი კაპიტალის ზრდა	71 779		
საკურსო სხვაობა	-10 228.25	-5 650.67	-25 794.94
სულ ფულის ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ფული პერიოდის ბოლოს	89 432.20	125 346.62	473 517.59

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 ოქტომბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს

დირექტორი



	საემისიო კაპიტალი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	დაგროვილი ზარალი	სულ
ბალანსი 31 დეკემბერი 2016	100		487 110.97		
კაპიტალის გაზრდა			0.00		
კაპიტალის შემცირება			121 238.39		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება			607 232.13		
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი			0.00		
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	100		973 104.71		973 205
კაპიტალის გაზრდა			0		0
კაპიტალის შემცირება			88 531		88 531
საანგარიშგებო პერიოდის მოგება					0
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი			124 347		124 347
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	0	100	760 227	0	760 327
კაპიტალის გაზრდა			0		0
კაპიტალის შემცირება					
საანგარიშგებო პერიოდის მოგება			760 227		
საანგარიშგებო პერიოდის ზარალი			179 717		
ბალანსი 31 დეკემბერი 2019		71879		0	
			652 389		

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 ოქტომბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს

დირექტორი



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია შპს „შპს სი თი ენ ჯორჯია“ წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ სამეწარმეო იურიდიულ პირს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია 2010 წლის 16 აგვისტოს, მისი იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ბალანჩივაძის ქ., კორ. №39. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია: 404869763.

კომპანიის წილის მფლობელები არიან:

- ნიკოლოზ ჩიქოვანი - 45%
- გელა ჭილიტაშვილი - 45%
- ვახტანგ ზერეკიძე - 10%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ბავშვთა კვების და მედიკამენტების დისტრიბუცია, ბავშვის სათამაშოების საცალო ვაჭრობა, მაღაზიათა ქსელის მეშვეობით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განხილულია ქვემოთ, რაც თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი წლისათვის, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.1 მომზადების საფუძველები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან. შეფასებები და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების აღიარება ხდება შეფასების პერიოდში და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მოქმედებს ამგვარი ცვლილება.

2.2 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები

მუხლები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში - ლარში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონვერტირდება ლარში პერიოდის ბოლო დღეს არსებული ოფიციალური კურსით (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით). უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში კონვერტაციის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2019 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით 1 აშშ დოლარი შეადგენდა 2.8677 ლარს 1 ევრო 3.2095 ლარს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარი შეადგენდა 2,6766 ლარს 1 ევრო 3,0701 ლარს.

2.3 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

	31.12.2019	31.12.2018
ფული სალაროში	27 522.06	46341,12
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	61 789.44	78863,35
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	120.50	142,15
სულ	89 432.00	125 346.62

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. ყოველი პერიოდის ბოლოს მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება იმის დასადგენად არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება მოთხოვნის თანხების ვერ დაფარვისა. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს მაშინ გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება ზარალში. სავაჭრო მოთხოვნები წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნა	703 074.24	92 547.16
სულ	703 074.24	92 547.16

2.5 სასაქონლო მარაგები

სასაქონლო მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და გაყიდვის ფასის შემცირებული რეალიზაციის ხარჯებით შეფასებით ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულების შეფასების მეთოდია საშუალო შეწონილი მეთოდი. ყოველი პერიოდის ბოლოს სასაქონლო მარაგები მოწმდება გაუფასურებაზე. იმ შემთხვევაში თუ გაუფასურების მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ზარალში. სასაქონლო მარაგები წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
პროდუქცია	644 977.90	661 204.21
ნედლეული		
მზა პროდუქცია		
სულ	644 977.90	661 204.21

2.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულება შემცირებული ცვეთით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში). ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების იმ ადგილამდე და იმ მდგომარეობამდე მიყვანისთვის, რაც აუცილებელია აქტივების მენეჯმენტის მიერ სასურველი ოპერირებისათვის.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა განსაზღვრულია საწარმოს მენეჯმენტის მიერ და შეადგენს 5 წელს. ძირითადი საშუალებები 2019 და 2018 წლებში წარდგენილია შემდეგნაირად:

2019

	საწყისი საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	საბოლოო საბალანსო ღირებულება
სატრანსპორტო საშუალებები	108 774.30	0	11267.11	21 059.28	76 447.91
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	47 347.69			7 454.45	39 893.24
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	24 445.54	2 681.50	0	3 760.83	23 366.21
სულ	180 567.53				139 707.36

2018

	საწყისი საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	ცვეთა	საბოლოო საბალანსო ღირებულება
სატრანსპორტო საშუალებები	136 250.58	0	8 534.40	22 213.36	108 774.30
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	38 881.55	15 532.38	0	7 066.24	47 347.69
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	24 931.87	9 478.71	7 206.92	3 929.25	24 445.54
სულ	200 064				180 567.53

2.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიული ღირებულების თანხა შემცირებული ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში). არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება მათი სასარგებლო გამოყენების პერიოდის პროპორციულად. ხოლო იმ არამატერიალურ აქტივებს რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა უცნობია ამორტიზაცია არ ერიცხება. საწარმოს არამატერიალური აქტივები 2018 და 2019 წლებში წარდგენილია შემდეგნაირად:

2019

	საწყისი საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	ამორტიზაცია	საბოლოო საბალანსო ღირებულება
პროგ. უზრუნველყოფა	6 324.75			1 152.49	5 172.26
სულ	6 324.75			1 152.49	5 172.26

2018

	საწყისი ღირ-ბა	შემოსვლა	გასვლა	ამორტიზაცია	ნარჩენი ღირ-ბა
პროგ. უზრუნველყოფა	6 277.24	1 200	0	1 152.49	6 324.75
სულ	6 277.24	1 200	0	1 152.49	6 324.75

2.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება როდესაც კრედიტორი შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრებ თავის ვალდებულებებს და თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ხოლო სავაჭრო ვალდებულებები შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რაც გაიანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ვალდებულებები წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
კომერციული მომწოდებლების მიმართ ვალდებულება	545 878	312 677.97
ადმინისტრაციული მომწოდებლების მიმართ ვალდებულება		
კომუნალური მომწოდებლების მიმართ ვალდებულება		
მეიჯარეების მიმართ ვალდებულებები		
სულ	545 878	312 677.97

2.9 სესხები

კომპანიას გააჩნია სასესხო ვალდებულება (საკრედიტო ხაზი).

	2019	2018
სასესხო ვალდებულება	385 140	0
სულ	385 140	0

2.10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. მისი ცვლილება ხდება მხოლოდ პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალმა განიცადა ცვლილებები და წარდგენილია შემდეგნაირად:

2019	საწყისი	გაზრდა	შემცირება	საბოლოო
საწესდებო კაპიტალი	100			100
საკუთარი კაპიტალი		71 779		71 779
პერიოდის მოგება	760 227.49			760 227.49
პერიოდის ზარალი			179 717	179 717
სულ	760 327.49	71 779	160 653.39	652 389.49

2018	საწყისი	გაზრდა	შემცირება	საბოლოო
საწესდებო კაპიტალი	100			100
პერიოდის მოგება	973 104.71		88 531	760 227.49
პერიოდის ზარალი			124 347	
სულ	973 204.71			760 327.49

2.11 ამონაგები

ამონაგები აღიარდება მისაღები თანხების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს საქონლის რეალიზაციის შედეგად მისაღებ თანხებს ფასდაკლებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გაუთვალისწინებლად. კომპანია აღიარებს ამონაგებს იმ შემთხვევაში თუ ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია და მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

მომსახურების რეალიზაცია აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში როდესაც მომსახურება გაიწევა კომპანიის მიერ.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2.12 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები წარმოიშობა როდესაც პარტნიორზე მოგების განაწილება ხდება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება არაეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები და სხვა ობიექტები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

2.13 დამატებული ღირებულების გადასახადი

ბიუჯეტში გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) წარმოიშობა კომპანიის მიერ საქონლის და მომსახურების მიწოდებისას. ვინაიდან კომპანიას უფლება აქვს ჩასათვლელოს დღგ-თი შეამციროს გადასახდელი დღგ-ს თანხა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დღგ-ს გადასახდელი ან ჩასათვლელო თანხა აღირიცხება მათ შორის სხვაობის თანხით.

2.14 დივიდენდის განაწილება

დივიდენდის განაწილება აღიარდება ვალდებულებად იმ პერიოდში როდესაც პარტნიორის მიერ მიიღება გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების თაობაზე.

2.15 მსს ფასს პირველადი გამოყენება

კომპანიის 2018 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას რომელიც კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს). შესაბამისად კომპანიის ამ სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. კომპანია აღნიშნულ თარიღამდე არ ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას.

2.16 ურთიერთდამოკიდებული პირები

ხელმძღვანელი პირის მიერ მიღებული ხელფასი:

	2019	2018
გაცემული ხელფასები	21 628.49	61 029.49
სულ	21 628.49	61 029.49

2.17 ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მენეჯმენტი

კომპანია ოპერირებისას აწყდება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

საბაზრო ფასის რისკი

ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკას, ასევე რისკების მართვის პროცესებსა და შეფასების მეთოდებს. დამატებითი ინფორმაცია ხსენებული რისკების ოდენობასთან დაკავშირებით წარმოდგენილია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაც იყენებს კომპანია და რომელთაგანაც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის რისკი, განისაზღვრება შემდეგნაირად:

სავაჭრო მოთხოვნები

ფული ბანკში

სავაჭრო ვალდებულებები

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე ვერ ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს. კომპანიას ძირითადად საკრედიტო რისკი გააჩნია კრედიტში გაყიდვებიდან.

საკრედიტო რისკი ასევე წარმოიშობა ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან, ასევე საბანკო დეპოზიტებიდან.

საბაზრო ფასის რისკი

საბაზრო ფასის რისკი შედგება საპროცენტო განაკვეთის რისკისა და სავალუტო გაცვლის კურსის რისკისგან.



დირექტორი